საქართველოს გარემოს
დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო
სსიპ "ველური ბუნების
ეროვნული სააგენტო"

MINISTRY OF ENVIRONMENT
PROTECTION AND
AGRICULTURE OF GEORGIA
LEPL "WILDLIFE NATIONAL
AGENCY"

N 1/115
25/05/2022

115-1-2-202205251459

Ш.პ.ს. „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის"

გენერალურ დირექტორს ბატონ ოლექსი ვილხოვს

მისამართი: ქ. თბილისი, 0177 გაზაფხული ქ.N18

ბატონო ოლექსი,

წერილის მიზანს წარმოადგენს ნაკადულის კალმახით დათევზიანების მომსახურებასთან დაკავშირებით დაგეგმილი ცვლილება.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 მარტის N 2-312 ბრძანებით დამტკიცებული აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს მიერ, განხილული იქნა ნაკადულის კალმახით დათევზიანების მეთოდები. 2022 წლის 17 თებერვალის სხდომაზე საქართველოს წამყვანი იქთიოლოგების მიერ, აღიარებულ იქნა ნაკადულის კალმახით დათევზიანების საუკეთესო მეთოდი - ქვირითით თვალის სტადიაზე. წარმოდგენილი მეთოდი არ გამორიცხავს ლიფსიტით ან ლარვით დათევზიანებას; თუმცა, რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, პრიორიტეტულად ერთხმად იქნა მიჩნეული. აღნიშნული მეთოდის უპირატესობას ბუნებასთან მაქსიმალურად ადაპტირებული, ველური პოპულაციის წარმოქმნა წარმოადგენს. შესაბამისად, გარკვეულწილად გარემოსდაცვითი ხასიათისაა და ანთროპოგენული ჩარევით ველური პოპულაციის ჩამოყალიბების საუკეთესო გზას წამოადგენს. აღსანიშნავია, რომ ნაკადულის კალმახის ველურ პოპულაციას გარემოსთან მაქსიმალურად მაღალი შეგუებულობის წყალობით ექნება თვითგადარჩენის მაღალი მაჩვენებელი.

ფინანსური და რაოდენობრივი კუთხით, გაცნობებთ, რომ ქვირითით თვალების სტადიაზე დათევზიანება ხდება 30%-ით მეტი რაოდენობით; თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი არ აძვირებს დათევზიანების მომსახურებას. ველური ბუნების სააგენტოს უმთავრეს სტრატეგიას მომსახურების მაღალი ხარისხი წარმოადგენს, შესაბამისად, სააგენტო მზად არის რომ მოახდინოს რაოდენობირივი სხვაობის სუბსიდირება.

ქვირითით თვალების სტადიაზე დათევზიანების მომსახურების პერიოდი განისაზღვრება დაახლოებით იანვრიდან მარტის შუა რიცხვებამდე.

დათევზიანების მომსახურება პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირია:

I. ქვირითით თვალების სტადიაზე დათევზიანება;
II. ლარვით დათევზიანება (გამოჩეკილი კალმახი, ლიფსიტობის სტადიამდე);
III. ლიფსიტით დათევზიანება - ბუნებაში მაქსიმალურად ადრეულ სტადიაზე გაშვება, რათა მაქსიმალურად მოახდინონ ბუნებრივ საკვებთან და გარემოსთან ადაპტაცია.

გარემო-ფაქტორებიდან გამომდინარე, პრიორიტეტული მეთოდით დათევზიანების შეუძლებლობის შემთხვევაში, სააგენტო ავტომატურად განიხილავს ჩამოთვლილთანგან შემდეგი მეთოდით დათევზიანებას.

წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დათევზიანების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულად მივიჩნევთ დათევზიანების თანამაედროვე (საუკეთესო) მეთოდის დანერგვას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოგმართავთ თხოვნით, რომ წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრება.

პატივისცემით,

რევაზ ბეჟაშვილი

უფროსი

სსიპ "ველური ბუნების ეროვნული სააგენტო"